

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N2

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

30 მაისი 2023 წელი

12:30 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 16 წევრი:

გიორგი ივანიაძე, ნათია მოძუაშვილი, სალომე ფახურიძე, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, გურანდა გვანცელაძე, დავით ხარძეიშვილი, თეონა ადეიშვილი, ლანა გოგოძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაძე, თამაზი თავაძე, ნატული დვალიშვილი, გვანცა სიგუა, ივანე მამფორია, ნანა ლილუაშვილი.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: გოჩა ჭუბაბრია, გელა ჩიკვაძე, მამუკა ნამიჭეიშვილი; გიორგი ტყეშელაშვილი, მარინა ღვინიაძე, ბესიკი გველესიანი, ნატო დვალი.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დღის წესრიგი გააცნო.



## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023–2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა;

მომხს: სალომე ფახურიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხს: გიორგი ივანიაძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### მოისმინეს;

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ პირველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი გააცნო.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „სამოქმედო გეგმა მოიცავს: მიზანს, ამოცანას, აქტივობას, შედეგის ინდიკატორს, ბიუჯეტს, დაფინანსების წყაროს, პასუხისმგებელ უწყებას, პარტნიორ უწყებას, შესრულების ვადას, სამოქმედო გეგმა თავისი მიზნების განსახორციელებლად ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების განხორციელებას, ამ მიზნით გამოყოფილი 5000 (ხუთიათასი) ლარი გადანაწილებულია პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებია: გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერება, გენდერული სტატისტიკის წარმოება და სისტემატურ განახლება, ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართვა მუნიციპალიტეტის საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან.

გამომდინარე იქედან, რომ სამოქმედო გეგმა 2 წელზეა გათვალისწინებული, მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომელთა განხორციელება და არსებული გამოწვევების დაძლევა გენდერული საბჭოს მიერ პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით შეძენილი ცოდნით და გამოცდილებით ეფექტურადაა შესაძლებელი.“



მან აგრეთვე სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას და თანამშრომლობის ერთიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობას, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ამ მიზნით გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მეწარმე სუბიექტებთან შესაბამის სამსახურებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობას გაუსვა ხაზი. საბჭოზე ასევე იმსჯელეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების, გამოწვევების დაძლევის გზებსა და ამოცანებზე.

#### **გადაწყვიტეს:**

საბჭოს წევრების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებების და შენიშვნების გათვალისწინებით საბჭომ საბოლოოდ, ერთხმად გადაწყვიტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად უახლოეს სხდომაზე.

#### **მოისმინეს:**

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა“;

საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„მოგეხსენებათ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის წინა წლის მსგავსად გამოყოფილია 5000 (ხუთიათასი) ლარი, რომელსაც მივმართავთ ყველაზე მნიშვნელოვანი, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების განსახორციელებლად, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ მომზადდება გენდერული საბჭოს შიდა სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება თითოეული ღონისძიება და ხარჯები შესაბამისობაში იქნება მოყვანილი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებულ აქტივობებთან.

მისასალმებელია სხვადასხვა მუნიციპალიტეტების წარმატებული პრაქტიკის გადმოღება, რათა უფრო მეტი ეფექტური სერვისები იქნას დანერგილი ჩვენს მიერ“.

უფრო მეტი აქტივობების განხორციელების და გენდერული მიმართულებით საქმიანობის არეალის გაფართოვების მიზნით საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აგრეთვე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისთვის შესაძლებლობის ფარგლებში ბიუჯეტის გაზრდაზეც და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გენდერული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში




საბჭოს მხრიდან ჩართულობა კიდევ უფრო გაიზრდება.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.


ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ივანიაძე



ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი

სალომე ფახურიძე



30.05.2023